

თაღლითობისა და კორუფციის რისკების შეფასების
ინსტრუქცია საქართველოს საჯარო სექტორის შიდა
აუდიტორებისთვის

სახელმწიფო შიდა კონტროლის
დეპარტამენტი/ჰარმონიზაციის ცენტრი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



2019 წელი

სარჩევი:

მიზანი	4
1. შესავალი	4
2. თაღლითობა და კორუფცია საქართველოს კანონმდებლობაში.....	5
3. თაღლითობის რისკების მართვა	6
4. შიდა აუდიტის როლი და პასუხისმგებლობა თაღლითობისა და კორუფციის რისკების შეფასებაში	9
□ სათანადო რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება.....	11
□ პოტენციური კორუფციული სქემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების მინიჭება 11	
□ შესაბამისი კონტროლის ღონისძიებების იდენტიფიცირება.....	12
□ თაღლითობის პრევენციისა და გამოვლენისთვის არსებული კონტროლის მექანიზმების ტესტირება	13
□ თაღლითობის რისკების შეფასების დოკუმენტირება და ანგარიშგება	13
5. თაღლითობისა და კორუფციის პრევენცია	14
□ წინასწარი მოკვლევა.....	14
□ თაღლითობის საწინააღმდეგო ტრენინგების ჩატარება.....	15
□ მოქმედი წახალისების სისტემების შეფასება.....	15
□ გასვლითი ინტერვიუების წარმოება	15
□ უფლებამოსილების ფარგლები	15
□ ტრანზაქციების ეტაპობრივი მიმოხილვა.....	16
6. თაღლითობისა და კორუფციის ფაქტების აღმოჩენა.....	16
□ ცხელი ხაზი	19
□ პროცესის კონტროლი	19
□ თაღლითობის აღმოჩენის პროაქტიული პროცედურები	20
7. თაღლითობისა და კორუფციის ფაქტების გამოკვლევა.....	21
□ გამოკვლევის პროცესი	22
□ შიდა აუდიტის როლი მოკვლევის პროცესში.....	23
□ მოკვლევის ჩატარება	24
□ თაღლითობის მოკვლევის ანგარიში	26
8. საპასუხო მოქმედებები	27

9. განხორციელებული სამუშაოს ანალიზი	29
10. დასკვნა.....	30

რისკი (Risk) - ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე.

კონტროლი (Control) - ნებისმიერი ქმედება, რომელსაც მენეჯერები ახორციელებენ რისკების მართვისა და მიზნების მიღწევისთვის. მენეჯერებმა უნდა დაგეგმონ და მართონ იმგვარად, რომ არსებობდეს შესაბამისი რწმუნება დაწესებულების მიზნების მიღწევის შესახებ.

მოხდენის ალბათობა (Likelihood) - კონკრეტული შედეგის დადგომის ალბათობა.

გავლენა (Impact) - მიღებული ეფექტი კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში.

პატიოსნება (Integrity) - პატიოსნება წარმოშობს ნდობას და, ამდენად, წარმოადგენს შიდა აუდიტორთა განსჯისადმი ნდობის საფუძველს.

გადაცდობა (Irregularity) - საჯარო დაწესებულების მარეგულირებელი ნორმებისა და შესაბამისი შინაგანაწესის დარღვევა შემთხვევით, მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს საჯარო დაწესებულების საქმიანობაზე.

თაღლითობა (Fraud) - უკანონო, ან არამართლზომიერი ქმედება, რომელიც მოიცავს გარკვეული ღირებულების მქონე სარგებლის მიღებას არასწორი ინფორმაციის გავრცელების ან ფაქტების დამახინჯების გზით - მოტყუებით, ინფორმაციის გაუმჟღავნებლობით ან ნდობის ხარისხის დარღვევით. თაღლითობას ჩადის ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია ფულის, ქონების ან მომსახურების მიღების მიზნით. ასევე, პირადი ან საქმიანობასთან დაკავშირებული სარგებლის მოპოვების მიზნით.

კორუფცია (Corruption) - საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

მიზანი

„თაღლითობისა და კორუფციის რისკების შეფასების ინსტრუქცია საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისთვის“-ის (შემდგომში - ინსტრუქცია) მიზანია შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებში მოქმედი შიდა აუდიტორებისთვის თეორიული და მეთოდური დახმარების გაწევა თაღლითობისა და კორუფციის რისკების იდენტიფიცირების, შეფასების და შემდგომი რეაგირების პროცესების განხორციელებაში.

1. შესავალი

თაღლითობა არის უკანონო ქმედების ტიპი, რომელიც მოიცავს გარკვეული ღირებულების მქონე მატერიალური სარგებლის მიღებას არასწორი ინფორმაციის გავრცელების ან ფაქტების დამახინჯების გზით - მოტყუებით, ინფორმაციის დაფარვით ან ნდობის ხარისხის დარღვევით. თაღლითობას ჩადის ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია ფულის, ქონების ან მომსახურების არამართლზომიერი გზით მიღების მიზნით; ასევე პირადი ან საქმიანობასთან დაკავშირებული სარგებლის მოპოვების მიზნით. დაწესებულებაში მოქმედი ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა ამცირებს თაღლითობის და კორუფციის რისკს.

თაღლითობისა და გადაცდომის შემაკავებელ ძირითად საშუალებას წარმოადგენს მოქმედი შიდა კონტროლის სისტემა, რომელსაც ნერგავს და მართავს დაწესებულების ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, თაღლითობის პრევენციის და აღმოჩენის პასუხისმგებლობა საბოლოო ჯამში აკისრია დაწესებულების ხელმძღვანელს. შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა დაეხმაროს დაწესებულების ხელმძღვანელს აღნიშნული სისტემის ადეკვატურობის და ეფექტიანობის შეფასებაში და სისუსტეების აღმოჩენაში. შიდა აუდიტის სუბიექტი არ იძლევა აბსოლუტურ გარანტიას, რომ დაწესებულებაში ადგილი არ ექნება კანონთან შეუსაბამო ქმედებას, რადგან საუკეთესო და სრულყოფილი შიდა კონტროლის სისტემაც კი მხოლოდ ამცირებს, მაგრამ სრულად ვერ აღმოფხვრის თაღლითობის ან შეუსაბამობის არსებობის ალბათობას.

დაწესებულების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვაზე, მათ შორის თაღლითობისა და კორუფციის რისკებზეც. ყოველი ასეთი დაწესებულება, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, დგას მთელი რიგი თაღლითობის და კორუფციის რისკების წინაშე, იქნება ეს შიდა თუ გარე ფაქტორებით გამოწვეული რისკები. როგორც წესი, არსებული თაღლითობის და შეუსაბამობის რისკის გაზომვა ხდება მათი რეალიზების ალბათობითა და იმ ფულადი და რეპუტაციული ზეგავლენით/ზარალით, რაც შესაძლოა ასეთ ფაქტს მოჰყვეს. ყველა დაწესებულებამ უნდა შეაფასოს, თუ რამდენად მოწყვლადია იგი თაღლითობის ან კორუფციის რისკებთან მიმართებაში.

2. თაღლითობა და კორუფცია საქართველოს კანონმდებლობაში

თაღლითობისა და კორუფციის ცნებების სრულყოფილი შინაარსობრივი ანალიზისათვის, მნიშვნელოვანია ისინი განიმარტოს საერთაშორისო სტანდარტებითა და საუკეთესო პრაქტიკით აღიარებული კომპონენტების გათვალისწინებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ხშირ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისით არ ტოვებს სივრცეს ინტერპრეტაციისთვის.

თაღლითობას განმარტავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, **თაღლითობა არის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით.** ასევე, ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მუხლი გვხვდება კოდექსის XXV თავში, რომელიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მოიცავს. შესაბამისად, მოქმედი რედაქციით, **თაღლითობა ეკონომიკურ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება და მიმართულია საკუთრების უფლების დარღვევისკენ, ე.ი. მისაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენებისკენ.** თუმცა, არსებობს ცალკეული შემთხვევებიც, რომლებიც სასამართლო პრაქტიკით არის დაკვალიფიცირებული, როგორც თაღლითობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თაღლითობად, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით შეიძლება არ დაკვალიფიცირდეს საჯარო მოსამსახურის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ჩადენილი დანაშაული. ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით არის გათვალისწინებული. მისი პირველი ნაწილის თანახმად, „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია“ არის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

რაც შეეხება კორუფციას, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **„კორუფცია საჯარო სამსახურში“ არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.**“


ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თაღლითობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და კორუფცია განსხვავებულ დანაშაულებს წარმოადგენს, როგორც ქმედების ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობებით.

შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კი, თაღლითობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ნებისმიერი უკანონო, ან არამართლზომიერი ქმედება, რომელიც მოიცავს გარკვეული ღირებულების მქონე სარგებლის მიღებას არასწორი ინფორმაციის გავრცელების

ან ფაქტების დამახინჯების გზით - მოტყუებით, დანაშაულის დაფარვით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. თაღლითობას არ განეკუთვნება ისეთი ქმედებები, რომლებიც ხორციელდება ფიზიკური ძალის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით. თაღლითობას ჩადის ფიზიკური ან იურიდიული პირი ფულის, საკუთრების ან მომსახურების მიღების მიზნით. ასევე, პირადი ან კომერციული სარგებლის მოპოვების მიზნით.

მაშასადამე, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ისევე როგორც არაერთი სხვა საერთაშორისოდ აღიარებული რეგულაციის მიხედვით, თაღლითობა არის გაცილებით ფართო და ზოგადი შინაარსის ქმედება, ვიდრე ის გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული მიდგომის თანახმად, საჯარო სამსახურში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების აბსოლუტური უმრავლესობა ექცევა თაღლითობის ზოგად ცნებაში. შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, თაღლითობა უნდა განიმარტოს ფართო გაგებით.

3. თაღლითობის რისკების მართვა



დიაგრამა №1 - რისკის მართვის პროცესი

თაღლითობის რისკების მართვა მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- თაღლითობისა და კორუფციისადმი დაწესებულების მოწყვლადობის შესწავლა;
- თაღლითობის და კორუფციის რისკებზე რეაგირება;
- თაღლითობის და კორუფციის რისკების შესამცირებლად დანერგილი კონტროლის ღონისძიებების ეფექტიანობის გაზომვის სტრატეგიის შემუშავება;
- თაღლითობის და კორუფციის რისკის მასშტაბის შეფასება.

თითოეულმა დაწესებულებამ უნდა შეაფასოს გამოვლენილი რისკების მოხდენის ალბათობა და შესაძლო შედეგი. დაწესებულების ხელმძღვანელმა მაქსიმალური საფრთხის შემცველი თაღლითობის და შეუსაბამობის რისკების სამართავად, პირველ რიგში უნდა განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები. შემდგომში კი, უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება რისკების და შეუსაბამობების ეფექტიანი მართვა. დაწესებულების რეაგირება თითოეულ რისკზე გამოიხატება ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის არსებობაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თაღლითობის პრევენციაში.

თაღლითობის რისკი სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არის თაღლითობის მოხდენის ალბათობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე. რისკის რეალიზების ალბათობის ხარისხი, როგორც წესი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მარტივია მისი ჩადენა, რა მამოტივირებელი ფაქტორები არსებობს ამისათვის და რა ისტორიული გამოცდილება აქვს დაწესებულებას.

როგორც ამერიკელი პენოლოგი¹, სოციოლოგი და კრიმინოლოგი დონალდ კრესი მიუთითებს, სანდო ადამიანები ხდებიან კანონდამრღვევები, როდესაც ისინი მიიჩნევენ, რომ აქვთ მძიმე ფინანსური პრობლემები და აცნობიერებენ, მათ მიმართ არსებული ნდობის გამოყენებით, ამ პრობლემების ფარულად გადაჭრის შესაძლებლობას.² თაღლითობის რისკების შეფასებისათვის კრესიმ შეიმუშავა თაღლითობის სამკუთხა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, თითოეული თაღლითობის ფაქტი შედგება სამი ელემენტისგან ფინანსური საჭიროება/მოტივაცია, შესაძლებლობა და რაციონალიზაცია.

პირველი ასეთი ელემენტი არის, ფინანსური საჭიროება, რაც შეიძლება გამოიხატოს თაღლითობის პოტენციური ამსრულებლის ვალსა თუ სხვა საკრედიტო პრობლემებში, სამედიცინო დანახარჯებში, რაიმე მატერიალური სიკეთის ქონის სურვილში, ქცევით ცვლილებებსა და სხვა გარემოებებში, რომლებიც შემდგომში ადამიანს უქმნის თაღლითობის ჩადენის მოტივაციას.

¹ პენოლოგია - მეცნიერება სასჯელისა და ციხეების შესახებ.

² Donald R. Cressey, *Other People's Money* (Montclair: Patterson Smith, 1973) p. 30

ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია თაღლითობის ჩადენის შესაძლებლობა, რომელიც უნდა შეფასდეს ყველა იმ კონკრეტული თანამშრომლის მიმართ, რომელთა მხრიდანაც არსებობს თაღლითობის ჩადენის მაღალი რისკი. მაშინ, როცა არსებობს საჭიროება, პოტენციური კანონდამრღვევი მუდმივად ეძებს შესაძლებლობას. სამუშაო გარემო და თანამშრომლები წარმოადგენენ კარგ სამიზნეებს ამისათვის, რადგან ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, თავისუფალი წვდომა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე საგრძნობლად აადვილებს თაღლითობის ჩადენას.

რაც შეეხება თაღლითობის სამკუთხედის მესამე ელემენტს, იგი გულისხმობს ქცევის რაციონალიზაციას. აღნიშნული მეტწილად სუბიექტურ ფაქტორს წარმოადგენს. კანონდამრღვევები ყოველთვის ახდენენ ქცევის რაციონალიზაციას, რათა დაარწმუნონ საკუთარი თავი, რომ მათი ჩადენილი თაღლითობა დასაშვებია. ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი თავს იმშვიდებენ და ამავე დროს ამართლებენ კანონდარღვევას იმით, რომ ფულს მხოლოდ თხოულობენ და ერთ დღესაც უკან დააბრუნებენ, ან იმით, რომ ბიუჯეტისთვის, მისი მოცულობიდან გამომდინარე, პირის მიერ აღებული თანხა არ იქნება დანაკარგი. (იხილეთ დიაგრამა №2)



დიაგრამა №2 - თაღლითობის სამკუთხედი

თაღლითობის რისკების შეფასება ხშირად დაწესებულების რისკის მართვის სტრატეგიის კრიტიკულ კომპონენტს წარმოადგენს. იგი არის ერთგვარი ინსტრუმენტი მენეჯერებისა და შიდა აუდიტორებისთვის, მოახდინონ იდენტიფიცირება თუ სად, როგორ და ვის მიერ შეიძლება ჩადენილ იქნას თაღლითობა. თაღლითობის ფაქტების პოტენციური გამოვლინებების მიმოხილვა, წარმოადგენს არსებით ნაბიჯს მენეჯმენტის სათანადო

დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად თაღლითობის რისკებისა და დაწესებულების მიზნებზე მისი შესაძლო გავლენის მოხდენის გათვალისწინებით.³

თუმცა, ლიტერატურაში მოცემული ინფორმაცია, რომ დაწესებულების მენეჯმენტს აკისრია შიდა კონტროლის სისტემის, მათ შორის თაღლითობის საწინააღმდეგო კონტროლის ჩამოყალიბების პასუხისმგებლობა და შიდა აუდიტის როლი შემოიფარგლება მხოლოდ მენეჯმენტის მიერ შექმნილი კონტროლის სისტემების შეფასებით, ხშირად არ შეესაბამება რეალურ სიტუაციას. არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ პრაქტიკაში მენეჯმენტსა და შიდა აუდიტს სოლიდარულად ეკისრებათ პასუხისმგებლობა, როცა საკითხი ეხება თაღლითობის რისკებს. შესაბამისად, სახელმძღვანელოებში მოცემული იდეა, ხშირ შემთხვევაში განუხორციელებელი რჩება.⁴

4. შიდა აუდიტის როლი და პასუხისმგებლობა თაღლითობისა და კორუფციის რისკების შეფასებაში

შიდა აუდიტის როლი და პასუხისმგებლობა თაღლითობისა და კორუფციის რისკების შეფასებაში, ისევე როგორც მათ მართვაში, მნიშვნელოვანია. შიდა აუდიტის წვლილი პირველ რიგში გამოიხატება იმ მტკიცებულებებში, რომელსაც იგი დამოუკიდებელი რწმუნების სახით აწვდის მენეჯმენტს შიდა კონტროლისა და თაღლითობის რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შესახებ.⁵

თაღლითობის რისკის შეფასების მასშტაბი განსხვავებულია თითოეული დაწესებულების შემთხვევაში და დამოკიდებულია მის ზომასა და კომპლექსურობაზე. მაგალითად, დაბალბიუჯეტო დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია მცირე შტატი, შეზღუდული რაოდენობის ინვენტარით, აქვს განსხვავებული თაღლითობის რისკები, ვიდრე მაღალბიუჯეტო, კომპლექსურ დაწესებულებას, დიდი საშტატო რიცხოვნობით. პირველ შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს საშუალება, ყველა ბიზნეს პროცესთან მიმართებით მოახდინოს რისკების შეფასება, როცა დიდ ორგანიზაციას შეიძლება შეზღუდული ჰქონდეს ეს შესაძლებლობა და უწევდეს ფოკუსირება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან რისკებზე. შესაბამისად, შიდა აუდიტორებმა უნდა შეძლონ თაღლითობის ნიშნების ამოცნობა ნებისმიერ შემთხვევაში, რაც გულისხმობს, რომ:

- ✓ შიდა აუდიტორი უნდა ფლობდეს საკმარის ცოდნას თაღლითობის ბუნების და დაწესებულების მიერ მისი მართვის ღონისძიებების შესახებ, იმისათვის, რომ შეძლოს იმ ინდიკატორების ამოცნობა, რომლებიც მიუთითებენ თაღლითობის არსებობის ფაქტზე.

³ IPPF – Practice Guide, Internal Auditing And Fraud pg.16

⁴ Responding to Fraud Risk, IIA, pg.12

⁵ INTERNAL AUDITING-Assurance & Advisory Services, IIA pg. 8-16

იგი ასევე უნდა იცნობდეს თაღლითობის თავისებურებებს, თაღლითობის ჩასადენად გამოყენებულ ტექნიკებს და თაღლითობის სახეებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული სახის საქმიანობას. თუმცა მათ არ მოეთხოვებათ ჰქონდეთ ექსპერტული ცოდნა, თაღლითობის გამოვლენასა და გამოძიებაში;

- ✓ შიდა აუდიტორმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ სფეროებზე, სადაც კონტროლის მექანიზმები სუსტია და თაღლითობის განხორციელების ალბათობა, შესაბამისად, მაღალია. კონტროლის სისუსტეების აღმოჩენის შემთხვევაში, შიდა აუდიტორმა უნდა ჩაატაროს დამატებითი ტესტირებები და აღმოაჩინოს თაღლითობის ინდიკატორები. ასეთი ინდიკატორების მაგალითებია უნებართვო ტრანზაქციები, კონტროლის მექანიზმების გვერდის ავლა, აუხსნელი გამონაკლისები შესყიდვების პროცესში, ზოგადად, პროექტის ფარგლებში უჩვეულოდ დიდი დანაკარგები ან ხანგრძლივად გადავადებული სამუშაოები. შიდა აუდიტორებმა უნდა მიაქციონ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი მსგავსი ინდიკატორის არსებობაც კი ნებისმიერ დროს ზრდის თაღლითობის ალბათობას;
- ✓ არსებული ინდიკატორების შეფასების საფუძველზე შიდა აუდიტორმა უნდა დაადგინოს იკვეთება თუ არა თაღლითობის ნიშნები და მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ქმედებების განხორციელების თაობაზე ან შეიმუშავოს რეკომენდაცია შესაბამისი უწყებების მიერ, თაღლითობის ფაქტის გამოძიების შესახებ, რომელსაც წარუდგენს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს.

თაღლითობის ნიშნების და მოსაზრების გასამყარებლად საკმარისი მტკიცებულებების არსებობისას, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ გამოძიების დაწყების მიზნით, მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში არსებობს ინსპექტირების სტრუქტურული ერთეული, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა ინფორმაცია/მასალა მიაწოდოს ინსპექტირების სტრუქტურულ ერთეულს. შიდა აუდიტის სტანდარტები, თაღლითობის გამოვლენი აუდიტის პროცედურების შემუშავებისას, მოითხოვს სათანადო პროფესიონალურ წინდახედულობას. შიდა აუდიტორებმა ასევე უნდა იცოდნენ ასეთი ტიპური მანიშნებლების (ე.წ. „წითელი დროშების“) შესახებ, რაც შესაძლოა იყოს საწყისი მინიშნება კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევაზე. ასეთი პირდაპირი მინიშნებების ანუ ე.წ. „წითელი დროშების“ მაგალითებია: ⁶

- სიტუაციები, რომლებიც მეტყველებს აქტივების/ინვენტარის ფიზიკური უსაფრთხოების ნაკლებობაზე (ინვენტარის არატიპიური ცვეთა; გადახდა ისეთი მიმწოდებლისთვის, რომელიც არ არის რეგისტრირებული მიმწოდებელთა სიაში; ფიზიკური მისამართის არმქონე მიმწოდებლები);

⁶ იხილეთ შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, თავი 2.6

- მომარაგების უჩვეულო რაოდენობა ან/და თანამშრომელთა მიერ გაწეული ხარჯები; მომხმარებელთა საჩივრები, რომ ისინი თავიანთ ანგარიშებზე არ იღებენ დასტურს გადახდებზე; საბანკო ანგარიშები არ არის დროულად შეჯერებული; თანამშრომლის მნიშვნელოვანი პირადი ვალი ან საკრედიტო პრობლემები, ქცევითი ცვლილებები, რაც შეიძლება მიანიშნებდეს ნარკოტიკებთან, ალკოჰოლთან ან აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ პრობლემებზე; მაღალი სამუშაო ძალის დენადობა, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც შედარებით მოწყვლადია თაღლითობის მიმართ; უარი შევბუღებაზე ან „საავადმყოფო ფურცელზე“; ზეგანაკვეთური სამუშაო საათები; მოწყვლად სფეროებში მოვალეობების არათანაბარი განაწილება; ცხოვრების წესის შეცვლა: ძვირფასი მანქანა, სამკაულები, ბინები, სამოსი და ა.შ.;
- აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მხრიდან აუდიტორებისთვის ინფორმაციის მიწოდებისგან თავის შეკავება; გადაჭარბებული რაოდენობის საბანკო ანგარიშები; ხშირი საბანკო ცვლილებები; წლის ბოლოს განხორციელებული ოპერაციების გადაჭარბებული რაოდენობა.

შიდა აუდიტის პრიორიტეტული მიმართულებების დასახვისას და წლიური გეგმის შედგენისას, შიდა აუდიტის სუბიექტი, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს იმ რისკებს, რომელთა წინაშეც შესაძლოა დადგეს დაწესებულება. რისკების შეფასებისას, შიდა აუდიტის სუბიექტი ეყრდნობა სხვადასხვა კრიტერიუმს. ორი ასეთი კრიტერიუმი განსაკუთრებით რელევანტურია თაღლითობისადმი პოტენციური მიდრეკილების შესაფასებლად, ესენია: კონტროლის სისტემების სიძლიერე და შესაბამისობის მარეგულირებელი მოთხოვნების მასშტაბი და კომპლექსურობა.

თაღლითობის რისკების შეფასება რამდენიმე არსებითი ნაბიჯისგან შედგება:

▪ სათანადო რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება

შესაბამისი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის პირველი ნაბიჯი დაწესებულებაში მიმდინარე ბიზნეს პროცესებში არსებული რისკების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაა. აღნიშნული პროცესი მოიცავს წინა თაღლითობის ფაქტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზს, მათ შორის სხვა, მსგავს დაწესებულებებში არსებული თაღლითობის ფაქტების შეფასებას და დაწესებულების მიერ წინა წლებში მიღებული საპასუხო ზომების მიმოხილვას.

▪ პოტენციური კორუფციული სქემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების მინიჭება

თაღლითობა, განმარტების თანახმად, გულისხმობს ფარულ, განზრახ გადაცდომას. შესაბამისად, თაღლითობის რისკების შეფასებისას, ჯგუფს სჭირდება სტრატეგიული

ანალიზის უნარი, რათა თაღლითობის მოსალოდნელ სქემასთან ერთად, შეძლოს სქემაში ჩართული ინდივიდების პროგნოზირება. ჯგუფი, რომელიც მუშაობს თაღლითობის რისკების შეფასებაზე, როგორც წესი, დაკომპლექტებულია შიდა აუდიტორების, ფინანსისტების, იურისტების, IT სპეციალისტების, უსაფრთხოების თანამშრომლებისა და სხვა პირებისგან, დაწესებულების ბუნების გათვალისწინებით.

თაღლითობის რისკების შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი პოტენციური თაღლითური სქემების იდენტიფიცირებას ახდენს ე.წ ბრეინშტორმინგის (brainstorming), მენეჯერებთან ინტერვიუების, ანალიტიკური მოქმედებებისა და წინა თაღლითობის ფაქტების მიმოხილვის შედეგად. აღნიშნულ პროცესში ჯგუფი სვამს შეკითხვებს, მხედველობაში იღებს დაწესებულების აქტივობებს, მსგავს დაწესებულებებში არსებულ თაღლითურ სქემებს, გეოგრაფიულ მდებარეობას და თაღლითობისთვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებს.

თაღლითობის სპეციფიკური სფეროების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს არსებული შიდა კონტროლის ეფექტიანობის განსჯის შედეგად (რომელიც შემდეგში უნდა განხორციელდეს). შეფასებით დგინდება თაღლითობა შეიძლება ჩადენილ იქნას კონკრეტული ინდივიდის მიერ თუ ამისთვის საჭიროა სხვა პირთა ჩართულობა, მათ შორის გარეშე პირების.

რისკებისთვის პრიორიტეტების მინიჭებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები :

- მონეტარული გავლენა;
- გავლენა დაწესებულების რეპუტაციაზე;
- პროდუქტიულობის დაკარგვა;
- პოტენციური კრიმინალური/სამოქალაქო სამართლებრივი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება;
- პატიოსნება და მონაცემთა დაცვა;
- აქტივების დაკარგვა;
- ოპერაციების ლოკაცია და მოცულობა;
- დაწესებულების კულტურა;
- მენეჯმენტის/დასაქმებულთა ცვალებადობა;
- აქტივების ლიკვიდურობა;
- ტრანზაქციების მოცულობა და ზომა;
- აუტოსორსინგი.

▪ შესაბამისი კონტროლის ღონისძიებების იდენტიფიცირება

თაღლითობის რისკების შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი ახდენს პრევენციული და აღმოჩენითი კონტროლის მექანიზმების იდენტიფიცირებას თითოეული რისკის მოხდენის ალბათობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. თაღლითობის საწინააღმდეგო კონტროლის მექანიზმები, როგორიცაა ცხელი ხაზის საშუალებით მხილება და მამხილებლის დაცვის პოლიტიკა, მენეჯმენტის ზედამხედველობა, განგრძობადი მონიტორინგის შედეგები, ქცევის წესები და მენეჯმენტის ტონი თაღლითობის რისკების მიმართ ტოლერანტულობასთან

დაკავშირებით, მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენს. მენეჯმენტის მხრიდან გადაჭარბებული კონტროლის მექანიზმების არსებობის რისკიც უნდა იქნას განხილული და შეფასებული ღირებულებისა და სარგებლის გათვალისწინებით.

- **თაღლითობის პრევენციისა და გამოვლენისთვის არსებული კონტროლის მექანიზმების ტესტირება**

შიდა აუდიტორები პერიოდული ტესტირების მეშვეობით განიხილავენ არამხოლოდ კონტროლის მექანიზმების არსებობას, არამედ მათ საოპერაციო ეფექტიანობას. მაგალითად, დაწესებულებაში შეიძლება დანერგილია ქსელის პაროლების დაცვის სისტემა, რომელიც ყოველ 30 დღეში მოითხოვს პაროლის ცვლილებას, თუმცა სისტემა არ ბლოკავს მომხმარებლის წვდომას, თუ მან მოთხოვნის მიუხედავად პაროლი არ შეცვალა. მოცემულ შემთხვევაში შიდა კონტროლი დანერგილია, თუმცა ოპერაციულად იგი არ არის ეფექტიანი.

- **თაღლითობის რისკების შეფასების დოკუმენტირება და ანგარიშგება**

ყოველი დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია თაღლითობისა და კორუფციის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესის დოკუმენტირება. არსებითი ელემენტები, რომლებიც შეფასების პროცესში უნდა იქნას დოკუმენტირებული თითოეულ ბიზნეს პროცესთან მიმართებით მოიცავს :

- თაღლითობის თანდაყოლილ რისკს ხელმისაწვდომი, ლიკვიდური და გაყიდვადი აქტივების, ორგანიზაციული მორალისა და დასაქმებულთა დენადობის, თაღლითობისა და დანაკარგების ისტორიული და სხვა სპეციალური ინდიკატორების გათვალისწინებით;
- მოქმედი თაღლითობის საწინააღმდეგო პროგრამების, მონიტორინგისა და პრევენციული კონტროლის ადეკვატურობას;
- პოტენციურ ხარვეზებს ორგანიზაციის კონტროლის სისტემაში, მათ შორის, პასუხისმგებლობის განაწილების სისტემაში;
- თაღლითობის მოხდენის ალბათობას;
- თაღლითობის გავლენას/მნიშვნელობას;
- თაღლითობის სახეებს, რომელთა მოხდენის ნაკლები შანსები არსებობს.

შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელმა პერიოდულად უნდა წარუდგინოს ანგარიშგება მაღალ მენეჯმენტს გამოვლენილი მნიშვნელოვანი რისკებისა და კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის თაღლითობის რისკების გათვალისწინებით.⁷

5. თაღლითობისა და კორუფციის პრევენცია⁸

მნიშვნელოვანია თითოეულ დაწესებულებაში მოქმედებდეს თაღლითობის პრევენციისთვის აუცილებელი კონტროლის სისტემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს პოტენციური თაღლითობის ფაქტებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში სრულყოფილი პრევენცია შეუძლებელია ან მისი ღირებულება აღემატება პრევენციის შედეგად მისაღებ სარგებელს. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი დაწესებულებაში თაღლითობის საწინააღმდეგო, ადეკვატურად დაბალანსებული კონტროლის მექანიზმების არსებობა.

არსებობს განსხვავებული ტექნიკები, თუმცა თაღლითობის პრევენციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმულები დაკავშირებულია ორგანიზაციულ ცნობიერებასთან. ამ უკანასკნელის სიძლიერის ხარისხზეა დამოკიდებული თაღლითობის მოხდენის ალბათობის შემცირება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ თაღლითობის შეკავება.

პრევენციული კონტროლის სისტემის დანერგვით, მენეჯმენტს ეძლევა შესაძლებლობა შექმნას მტკიცე საფუძველი, რომელიც ინდივიდებს თაღლითობის ჩადენის წარმოდგენის საშუალებასაც კი არ მისცემს. ძლიერი რისკის მართვის გარემოს ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია ხაზგასმა შემდეგ საერთო ელემენტებზე, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს თაღლითობის პრევენციის პროცესში:

▪ წინასწარი მოკვლევა

ზოგიერთი ინდივიდისთვის რთულია გაუძლოს ცდუნებას, რომელიც მას უბიძგებს თაღლითობისკენ. იმ პირების მიმართ, რომლებსაც ერთხელ მაინც ჩაუდენიათ თაღლითური ქმედება არსებობს მეტი ვარაუდი, თაღლითობის ფაქტის განმეორების შესახებ. სრულ და ყოვლისმომცველ წინასწარ მოკვლევას შეუძლია შეაკავოს სავარაუდო დამნაშავე. ზოგიერთი დაწესებულება ამგვარ კვლევას აწარმოებს არა მხოლოდ თავის სისტემაში დასაქმებულ პირებთან, არამედ, პოტენციურ დასაქმებულებთან, მომხმარებლებთან, ბიზნეს პარტნიორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით, რათა გარეშე პირებისგანაც შეამციროს თაღლითობის რისკის დონე.

⁷ IIA Standard 2060 : Reporting to Senior Management and the Board

⁸ INTERNAL AUDITING-Assurance & Advisory Services, IIA pg. 8-22

▪ თაღლითობის საწინააღმდეგო ტრენინგების ჩატარება

დაწესებულებაში დასაქმებული კომპეტენტური და კეთილსინდისიერი თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება თაღლითობის კუთხით. მათ უნდა ესმოდეთ რაში მდგომარეობს თაღლითობის არსი, შემდგომი მეთვალყურეობისთვის სად უნდა განათავსონ ე.წ წითელი დროშები, როგორ მოახდინონ საექვო ინციდენტების ანგარიშგება და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თაღლითობას.

▪ მოქმედი წახალისების სისტემების შეფასება

დაწესებულება მუდმივად ფრთხილად უნდა იყოს, რათა არ წახალისოს არასწორი საქციელი. თითოეული წამახალისებელი აქტივობა კრიტიკულად უნდა იქნას შეფასებული. იგი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გამხმევებით, მაშინ, როცა შესაძლებელია სამაგალითო საქციელისთვის დასაქმებულის დაჯილდოება ან სხვაგვარი წახალისება. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ამ პროცესის ფარგლებში უყურადღებობის შედეგად, არ მოხდეს ისეთი საქციელის დაგმობა, რომელიც რეალურად საჭიროებს წახალისებას.

▪ გასვლითი ინტერვიუების წარმოება

თანამშრომლები დაწესებულებას ტოვებენ სხვადასხვა მიზეზის გამო და ხშირ შემთხვევაში მათ წასვლის მიზეზების გაზიარების სურვილი აქვთ. ამ შესაძლებლობის გამოყენება მიზანშეწონილია გასვლითი ინტერვიუების ფარგლებში, აღნიშნული აღმოჩენითი კონტროლის შემადგენელ ელემენტად ითვლება, რადგან დასაქმებულები ამ დროს, როგორც წესი, საუბრობენ წარსულში მომხდარ ფაქტებზე, რომლებშიც ისინი გარეულები არ იყვნენ დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში. ხშირ შემთხვევაში გასვლითი ინტერვიუებს შესაძლებელია თაღლითობაზე ჰქონდეს პრევენციული ეფექტებიც.

▪ უფლებამოსილების ფარგლები

თაღლითური ტრანზაქციების პრევენცია შესაძლებელია უფლებამოსილების საზღვრების დადგენით. მაგალითად, განსაკუთრებული მოცულობის გადარიცხვებისთვის/ოპერაციებისთვის მინიმუმ ორი ინდივიდის თანხმობის კრიტერიუმის დაწესება (4 თვალის პრინციპი), რაც გულისხმობს ორივე მათგანის სავალდებულო თანხმობას გადარიცხვაზე/ოპერაციაზე. აღნიშნული კონტროლის მექანიზმი გვაძლევს თაღლითური ტრანზაქციის პრევენციის საშუალებას. თუმცა, ამ შემთხვევაში, წინასწარ უნდა იქნას დადგენილი, პროცესში ჩართულ პირებს შორის რაიმე ფარული შეთანხმების არარსებობა.

▪ ტრანზაქციების ეტაპობრივი მიმოხილვა

თაღლითობის სქემებში ხშირად ჩართული არიან მესამე პირები, მათ შორის დაინტერესებული მხარეები. შესაბამისად, დეტალურად უნდა იქნას გამოკვლეული თითოეული მათგანი, სანამ ტრანზაქცია დასრულდება, ანუ სანამ დაწესებულებას აქვს არასასურველი შედეგის პრევენციის ობიექტური შესაძლებლობა.

დაწესებულების სისტემაში მოქმედი შიდა კონტროლის სხვა სისტემების მსგავსად, პრევენციული კონტროლიც საჭიროებს დოკუმენტირებას. აღნიშნული იძლევა კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასების შესაძლებლობას, რაც კმნის დაწესებულებაში ინსტიტუციურ გამოცდილებას და ეხმარება მას შემდგომ განვითარებაში.⁹

6. თაღლითობისა და კორუფციის ფაქტების აღმოჩენა¹⁰

თაღლითობისა და კორუფციის ნიშნების გამოვლენისათვის შიდა აუდიტის სუბიექტი უნდა იცნობდეს იმ გარემოებებს, რომლებიც განაპირობებს თაღლითობის ან კორუფციის არსებობას შესაბამის დაწესებულებაში. მათ შორის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

- ხელმძღვანელის დომინანტური დამოკიდებულება შიდა აუდიტორების მიმართ, განსაკუთრებით შიდა აუდიტის საქმიანობაში ჩარევის მცდელობები;
- სუსტი ან არაეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურა;
- მენეჯერული პოზიციის მქონე კადრების გადინების მაღალი მაჩვენებელი;
- უჩვეულო ან ძალზედ რთული ტრანზაქციები, რომელთა უმეტესობაც წლის ბოლოსკენ ხორციელდება;
- ერთი პირის ან მცირე ჯგუფის მიერ განხორციელებული ხელმძღვანელობა, რომლის მიმართ არ ხორციელდება სათანადო კონტროლი, მაგალითად, უფრო მაღალი დონის გარე ზედამხედველობა;
- ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმების მონიტორინგის არაადეკვატური განხორციელება;
- ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს შიდა კონტროლის სისტემაში დროულად გამოასწოროს მისთვის ცნობილი ხარვეზები;
- ზედმეტად რთული და კომპლექსური ორგანიზაციული სტრუქტურა, ბევრი ან უჩვეულო იურიდიული პირის ჩათვლით, ცხადად განსაზღვრული მიზნების გარეშე არსებული, დაუსაბუთებელი მენეჯერული უფლებამოსილები ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
- ორგანიზაციული პროცესები მოიცავს ნაღდი ფულის დიდი ოდენობით შენახვას;

⁹ Managing the Business Risk of Fraud: A Practical Guide, Fraud Prevention pg.30-33

¹⁰ INTERNAL AUDITING-Assurance & Advisory Services, IIA pg. 8-25

- ხელმძღვანელობა არ ასრულებს რეკომენდაციებს, რომელიც შემუშავდა წინა შიდა აუდიტორული შემოწმების ან მოკვლევის შედეგად;
- არ არსებობს კანდიდატთა შემოწმების ადეკვატური პროცედურები, რომლებსაც სურთ მოხვდნენ ისეთ პოზიციებზე, რომლის მეშვეობითაც თანამშრომელს აქვს წვდომა ისეთ აქტივებზე, რომელთა არამიზნობრივი გამოყენება არის შესაძლებელი;
- არ არსებობს მონაცემთა შენახვის ადეკვატური სისტემა ისეთ აქტივებზე, რომელთა არამიზნობრივი გამოყენება არის შესაძლებელი;
- არ არსებობს ტრანზაქციების (მაგალითად შესყიდვებისას) ავტორიზაციის და დადასტურების სათანადო სისტემა;
- არ არსებობს ადეკვატური ფიზიკური გარანტიები ნაღდ ფულზე, ინვესტიციებზე, ინვენტარსა და ძირითად საშუალებებზე;
- ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ზედმეტად აგრესიულ ფინანსურ მიზნებს და მოლოდინებს პერსონალის მიმართ;
- ხელმძღვანელობა ავლენს განსაკუთრებულ უყურადღებობას მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიმართ;
- ორგანიზაციას აქვს უფლებამოსილება განხორციელოს მნიშვნელოვანი მოცულობითი სახელშეკრულებო შეთანხმებები ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე;
- ადგილი აქვს უჩვეულოდ ხშირ მოთხოვნებს ხარჯების ანაზღაურებაზე, მივლინებებისა თუ სხვა მსგავსი საფუძვლების გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ყოველთვის არ მიუთითებს თაღლითობის ფაქტზე, მათი არსებობის შემთხვევაში, შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და მეტი ყურადღება დაუთმოს ასეთი ფაქტორების შესწავლას. გარდა ამისა, შიდა აუდიტორისათვის შესაძლოა ცნობილი გახდეს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც უკვე პირდაპირ მიანიშნებს თაღლითობის ფაქტის ან შეცდომის არსებობაზე, მაგალითად:

- ✓ ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებების აღმოჩენა, რომლის შესახებ ინფორმაცია არ გამჟღავნებულა ხელმძღვანელობისგან წინა გასაუბრების/გამოკითხვების დროს;
- ✓ ანგარიშებში არსებული ძნელად შესამოწმებელი, მნიშვნელოვანი რაოდენობის მონაცემები/თანხები;
- ✓ ხელმძღვანელობისგან ან თანამშრომლებისგან მიღებული არათანმხვედრი ან არადაამკმაყოფილებელი მტკიცებულებები;
- ✓ უჩვეულო დოკუმენტური მტკიცებულებები, როგორიცაა ხელით ჩასწორებული დოკუმენტები ან ხელნაწერი დოკუმენტები, რომლებიც ჩვეულებრივ ელექტრონულ ფორმატში უნდა ინახებოდეს;
- ✓ შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მხრიდან დასახელებული შიდა აუდიტის განხორციელების არარეალისტური ვადები/პირობები;

- ✓ ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა აუდიტის სუბიექტთან და დაკავშირებულ მესამე მხარესთან (როგორცაა, მაგალითად, მარეგულირებელი სამსახურები და დებიტორები, კრედიტორები და ა.შ) ღია და გახსნილ კომუნიკაციაში ჩაბმის სურვილის არარსებობა;
- ✓ უჩვეულო ტრანზაქციები მათი შინაარსის, მოცულობის ან სირთულის მხრივ; განსაკუთრებით, თუ ასეთი ტრანზაქციები განხორციელდა წლის ბოლოს;
- ✓ ტრანზაქციები, რომელთა აღრიცხვა არ მოხდა ხელმძღვანელობის მიერ ზოგადი და სპეციალური ავტორიზაციის მეშვეობით;
- ✓ ხელმძღვანელობის მხრიდან შიდა აუდიტის გარემოზე დაწესებული შეზღუდვები;
- ✓ ინფორმაციის მოწოდება შეფერხებებით ან დაუსაბუთებელი დაგვიანებებით;
- ✓ არასრული ან არაადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერები;
- ✓ დაუსაბუთებელი ტრანზაქციები;
- ✓ მონაცემების კომპიუტერულად დამუშავების პროცესზე არაადეკვატური კონტროლის მექანიზმები (მაგ: შეცდომების დიდი რაოდენობა; დაგვიანებები შედეგების და ანგარიშების დამუშავებისას), თანამშრომლების მიერ ელექტრონული მონაცემთა ბაზის ელემენტების თვითნებური დუბლირება წერილობითი/ამობეჭდილი დოკუმენტების შენახვის ფორმით;
- ✓ მტკიცებულებები ხელმძღვანელების ან თანამშრომლების ზედმეტად ხელგაშლილი ცხოვრების წესზე.

თუ შიდა აუდიტის წარმართვის პროცესში, შიდა აუდიტორი გადააწყდება ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ თაღლითობის შესაძლო არსებობაზე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება შემდგომი ქმედებების განხორციელებაზე. თუ შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი არსებული მტკიცებულების საფუძველზე დაადასტურებს შესაძლო თაღლითობის ნიშნების არსებობის ფაქტს, იგი ამის შესახებ შეატყობინებს დაწესებულების ხელმძღვანელს. თუ მტკიცებულება არადამაჯერებელია, მაშინ შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ნებას დართავს შიდა აუდიტორს გაფართოებული ტესტირების პროცედურების გამოყენებაზე ან, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შეხედულებისამებრ, რეკომენდაციას გაუწევს სპეციალური ფინანსური ინსპექტირების ჩატარებას შესაბამისი უწყებების მიერ.

შიდა აუდიტორმა უნდა გადადგას აუცილებელი ნაბიჯები, რათა მოახდინოს მომავალში მსგავსი დარღვევების განმეორების პრევენცია. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია იმის განსაზღვრით, საჭიროა თუ არა დამატებითი კონტროლის მექანიზმების გამოყენება ან არსებული მექანიზმების გაძლიერება. მსგავსი დარღვევების აღკვეთის მიზნით მომავალში უნდა მოხდეს სათანადო აუდიტის ტესტირების გამოყენება.

თუ თაღლითობის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფართომასშტაბიან ზარალს დაწესებულების აქტივებთან და რეპუტაციასთან მიმართებაში, შიდა აუდიტორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები აღნიშნული ქმედებების შესაჩერებლად. ასეთ შემთხვევებში უნდა შედგეს

სპეციალური ანგარიში, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს და დაწესებულების ხელმძღვანელს. ანგარიში ასევე უნდა გაეგზავნოს პასუხისმგებელ პირს, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები ზიანის აღმოსაფხვრელად ან პრევენციის მიზნით და ყურადღება გაამახვილოს მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. საჭიროებისამებრ, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ანგარიში უნდა მიეწოდოს ინსპექტირების სტრუქტურულ ერთეულს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების ხელმძღვანელი ან პასუხისმგებელი პირი ზიანის აღმოსაფხვრელად მიიღებს გადაუდებელ ზომებს ან გაატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, შიდა აუდიტორმა აღნიშნული ფაქტი უნდა ასახოს საბოლოო ანგარიშში.¹¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თაღლითობის რისკის მართვის სისტემა ვერ იქნება ეფექტური, თუ ის დაფუძნებულია მხოლოდ პრევენციულ კონტროლზე. ვინაიდან, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, შეუძლებელია თაღლითობის ყველა ინციდენტის პრევენცია. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მოქმედებს აღმოჩენითი კონტროლის მექანიზმები, რაც შიდა კონტროლის საერთო სისტემის ნაწილია და გულისხმობს გამოვლენილი თაღლითობის ან მისთვის დამახასიათებელი სიმპტომების/ნიშნების იდენტიფიცირებას. თაღლითობის აღმოჩენის რამდენიმე საერთო მეთოდი არსებობს:

▪ ცხელი ხაზი

ცხელი ხაზი საშუალებას აძლევს ინდივიდებს, ანონიმურად გამოთქვან მოსაზრება საექვო აქტივობებთან დაკავშირებით. ცხელი ხაზი მიზანია ხალხს ჰქონდეს მარტივი კომუნიკაციის საშუალება, ყოველგვარი შიშისა და ზეწოლის გარეშე. ცხელ ხაზს პრევენციული კონტროლის ხასიათიც აქვს, რადგან პოტენციური დამნაშავეები აანალიზებენ, რომ ამ გზით ინფორმაციის მიწოდება მარტივია ნებისმიერი ინდივიდისთვის. ცხელ ხაზთან ერთად, დაწესებულებამ უნდა შექმნას ეფექტური საქმისწარმოების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი პირებისთვის, შემთხვევის ადეკვატური გამოსწორების ან მოკვლევის, შემდგომ კი, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს. საქმის წარმოების სისტემას ადმინისტრირებას უწევს ადმინისტრაციული, იურიდიული ან ადამიანური რესურსების მართვის (HR) სტრუქტურული ერთეულები.

▪ პროცესის კონტროლი

ყველაზე გავრცელებული აღმოჩენითი კონტროლის ღონისძიებები ინერგება ყოველდღიურ პროცესებში. პროცესის კონტროლი ხორციელდება შეთანხმებების/გარიგებების მიმოხილვის, ფიზიკური დაკვირვების, სპეციფიკური ანალიზის, შიდა აუდიტორული შემოწმების ან სხვა მონიტორინგის ღონისძიების საშუალებით. თაღლითობის ისეთი რისკების არსებობის

¹¹ შიდა აუდიტის მეთოდოლოგია- 2.6 თაღლითობის რისკი

შემთხვევაში, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ დაწესებულების ფუნქციონირებაზე, აღმოჩენითი კონტროლი შედარებით მაღალი ოპერატიულობით უნდა ხორციელდებოდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფაქტის დროული აღმოჩენა. რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოჩენითი კონტროლის კრიტიკული ზღვარი არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია კონკრეტული პოტენციური თაღლითობის გავლენის ხარისხზე.

▪ **თაღლითობის აღმოჩენის პროაქტიული პროცედურები¹²**

პროაქტიული პროცედურები გულისხმობს მონაცემთა მუდმივ ანალიზს და სხვა ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, ტენდენციებისა და რისკების ინდიკატორების უწყვეტ მონიტორინგს. ზოგიერთი მათგანი მოიცავს მონაცემთა ანალიზს სხვადასხვა წყაროდან. ასევე, აღმოჩენითი კონტროლის პროაქტიულ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურად ეძებს მნიშვნელოვან სიტყვებს ან ფრაზებს ელექტრონულ მიმოწერაში, რათა მოხდეს სავარაუდო თაღლითური ქმედების ან უკვე დასრულებული ფაქტისა და მისი შემსრულებლის იდენტიფიცირება.

განგრძობადი მონიტორინგისა და გაზომვის ტექნიკები ეხმარება დაწესებულებას თაღლითობის აღმოჩენითი კონტროლის შეფასებასა და გაუმჯობესებაში. ამისათვის შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენება.

¹² IPPF – Practice Guide, Internal Auditing And Fraud pg.21

თაღლითობის აღმოსაჩენად სხვა არაერთი კონტროლის მექანიზმი არსებობს, თუმცა დაწესებულება მუდამ კონცენტრირებული უნდა იყოს ისეთ კონტროლზე, რომელიც თაღლითობის მოხდენის ალბათობის გათვალისწინებით, მისცემს მას ფაქტის დროული აღმოჩენის შესაძლებლობას. (იხილეთ დიაგრამა №3)



დიაგრამა №3 - თაღლითობის კონტროლის ღონისძიებები

7. თაღლითობისა და კორუფციის ფაქტების გამოკვლევა

დაწესებულებაში შესაძლო თაღლითობის შემთხვევების გამოკვლევას იწყებენ მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი ან ვარაუდი იმისა, რომ ადგილი ჰქონდა თაღლითურ ქმედებას. ეჭვები შესაძლოა გაჩნდეს, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საჩივრების შედეგად, მაგალითად კონსულტაციის პროცესში.

თაღლითობის გამოკვლევა მოიცავს კონკრეტული დეტალების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას და იმ პროცედურების ჩატარებას, რომლებიც აუცილებელია თაღლითობის, მისი თანმდევი ზიანის, ჩართული პირების და ზოგადად, თაღლითობის მთლიანი პროცესის გამოსავლენად. გამოკვლევის მნიშვნელოვანი შედეგია უდანაშაულო პირების დაცვა, მათ მიმართ არსებული შესაძლო ეჭვებისგან.

გამოკვლევა მიმართულია თაღლითური საქმიანობის სრული ხასიათისა და მოცულობის და არამხოლოდ იმ შემთხვევის გამოვლენისაკენ, რომელიც მოკვლევის დაწყების საფუძველი

გახდა. იგი მოიცავს იმ მტკიცებულებების შეგროვებას, დოკუმენტირებას და შენახვას, რომლებიც საჭირო იქნება შემდგომი სამართალწარმოებისათვის.

თაღლითობის გამოკვლევაში შეიძლება ჩართულნი იყვნენ დაწესებულების შიდა აუდიტორები, იურისტები, უსაფრთხოების თანამშრომლები და სხვა სპეციალისტები და საჭიროების შემთხვევაში ასევე, შესაძლებელია გამოკვლევის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ მოწვეული პირებიც.

გამოკვლევის პროცესი და მასთან დაკავშირებული ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობა შესაძლოა პირდაპირ განსაზღვრავდეს საგამოძიებო პროცედურებს, აგრეთვე ადგენდეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, თუ სხვა ქმედების განხორციელების ვალდებულებას დაწესებულების მხრიდან. შესაბამისად, თაღლითობის გამოძიების შესახებ, ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ნორმების სათანადო ანალიზისა და განახლებული ინფორმაციის მიღების მიზნით, ორგანიზაციის საუკეთესო ინტერესს, როგორც იურიდიულად, ისე პროფესიულად, უნდა წარმოადგენდეს შესაბამის ორგანოებთან, მათ შორის იურიდიულ სტრუქტურულ ერთეულთან მჭიდრო თანამშრომლობა.

▪ გამოკვლევის პროცესი

მენეჯმენტი პასუხისმგებელია მოკვლევის პროცესზე კონტროლის განხორციელებაზე, მათ შორის ეფექტური პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე, მტკიცებულებების შენარჩუნებაზე, მოკვლევის შედეგების მართვაზე, ანგარიშგებასა და კომუნიკაციაზე. ასეთი სტანდარტები ხშირად თავმოყრილია თაღლითობის პოლიტიკის დოკუმენტებში, რომელთა შეფასებაშიც შიდა აუდიტორები იღებენ მონაწილეობას. ეს პოლიტიკა და პროცედურები უნდა მოიცავდეს ადამიანთა უფლებებს, მოკვლევაზე უფლებამოსილი პირების კვალიფიკაციასა და იმ კანონებს, რომლებიც დაირღვა თაღლითობის შედეგად. პოლიტიკა ასევე უნდა ითვალისწინებდეს მენეჯმენტის მხრიდან თანამშრომლების, დაინტერესებული პირებისა და ბენეფიციარების მიმართ დისციპლინის დამყარების ფარგლებს, მათ შორის დანაკარგების აღსადგენად სამართლებრივი ზომების მიღებისა და სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყების საფუძვლებს. მნიშვნელოვანია, რომ მენეჯმენტმა ნათლად განსაზღვროს მოკვლევის პროცესში ჩართული პირების უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, მან უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ფარულ კომუნიკაციებს მიმდინარე მოკვლევის შესახებ, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპებზე.

პოლიტიკამ უნდა გასაზღვროს მოკვლევაში ჩართული თითოეული პირის როლი. მოკვლევის შედეგების საფუძველზე, მენეჯმენტი წყვეტს არსებობს თუ არა, საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ადგილი ჰქონდა თაღლითობას, შემდგომ კი ამცნობს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს. კანონმდებლობით თაღლითობის ფაქტის დადგენა სასამართლო ხელისუფლების

კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საკმარისია მოკვლევამ მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ორგანიზაციაში შიდა რეგულაცია დაირღვა და სავარაუდოდ თაღლითობა მოხდა.

▪ შიდა აუდიტის როლი მოკვლევის პროცესში

შიდა აუდიტის როლი მოკვლევის პროცესში უნდა განისაზღვროს შიდა აუდიტის დებულებით, აგრეთვე თაღლითობის რისკების მართვის პოლიტიკითა და პროცედურებით. მაგალითად, შიდა აუდიტს შესაძლოა დაეკისროს პირველადი პასუხისმგებლობა თაღლითობის მოკვლევაზე, იგი გამოყენებულ იქნას, როგორც შიდა საგამოძიებო რესურსი ან პირიქით, მოეთხოვებოდეს მოკვლევაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება. ეს უკანასკნელი შიდა აუდიტს შესაძლოა ევალებოდეს იმ მიზნით, რომ მას დაეკისროს მოკვლევის ეფექტიანობის შეფასების პასუხისმგებლობა, ასევე შესაძლებელია, შიდა აუდიტს არ გააჩნდეს მოკვლევაში ჩასართავად საჭირო რესურსები. თითოეული ზემოაღნიშნული როლი მისაღები უნდა იყოს დაწესებულებისთვის, თუ შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა დაწესებულების მენეჯმენტის მიერ სათანადოდ აღიარებული და გარანტირებულია.

თაღლითობის ფაქტების მოკვლევაზე პასუხისმგებელი ჯგუფები ვალდებული არიან თაღლითური სქემების, საგამოძიებო ტექნიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ ჰქონდეთ სათანადო ცოდნა. ამისათვის არსებობს ეროვნული და საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს დარგის სპეციალისტების დატრენინგებასა და სერტიფიცირებას.

თუ შიდა აუდიტია პასუხისმგებელი მოკვლევაზე, მაშინ მას შეუძლია ეს აწარმოოს შიდა პერსონალის, „აოუტსორსინგის“ ან კომბინაციურად ორივეს გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში, შიდა აუდიტმა შესაძლოა პროცესში ჩართოს არამხოლოდ აუდიტორები, არამედ დაწესებულების სისტემაში დასაქმებული სხვა თანამშრომლები. ხშირად მნიშვნელოვანია, რომ მოკვლევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი დაუყოვნებლივ შეიკრიბოს. საჭიროების შემთხვევაში, შიდა აუდიტს ასევე, აქვს უფლებამოსილება, პროცესში ჩართოს ექსპერტები/შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

იმ დაწესებულებებში, სადაც პირველადი საგამოძიებო ფუნქცია შიდა აუდიტის პასუხისმგებლობას არ წარმოადგენს, მისი როლი შესაძლოა შემოიფარგლებოდეს საკონსულტაციო საქმიანობით, შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად ინფორმაციის შეგროვებითა და რეკომენდაციების გაცემით.

საკონსულტაციო საქმიანობასთან ერთად, შიდა აუდიტორები შესაძლოა მოკვლევაში ჩაერთონ შემდეგნაირად:

- მონიტორინგი გაუწიონ მოკვლევის პროცესს, დაწესებულების მხრიდან შესაბამისი წესების, პროცედურებისა და კანონების/დებულებების გათვალისწინებას;
- უზრუნველყონ აქტივების დაცვა;

- დაეხმარონ დაწესებულებას სამართალწარმოებასა და სხვა პირველადი მდგომარეობის რეკონსტრუქციისკენ მიმართულ ღონისძიებებში;
- მოახდინონ ორგანიზაციის შიდა და გარე ანგარიშგების შეფასება და მონიტორინგი;
- მოახდინონ რეკომენდირებული კონტროლის განხორციელების მონიტორინგი.

როგორც წესი, შიდა აუდიტორები აფასებენ მოკვლევის შესახებ ფაქტებს და მენეჯმენტს აძლევენ რჩევებს, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოახდინონ მათ თაღლითობის მაპროვოცირებელი სუსტი წერტილების შემცირება. შიდა აუდიტორებმა შესაძლოა შეიმუშაონ გარკვეული ქმედებები აუდიტორულ პროგრამებში ან წლიურ შიდა აუდიტორულ გეგმებში დაგეგმონ „თაღლითობის აუდიტები“, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობის ფაქტების გამოვლენას.

▪ მოკვლევის ჩატარება

თითოეული მოკვლევისთვის ინდივიდუალურად უნდა შემუშავდეს დეტალური გეგმა, დაწესებულების შიდა პროცედურებისა და პროტოკოლის გათვალისწინებით. პირს, რომელიც აღნიშნულ პროცესს გაუძღვება, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია, რომლებიც მას კომპეტენტური გუნდის შექმნისა და მოკვლევის ეფექტიანად წარმოებისთვის სჭირდება. ეს პროცესი ასევე, მოიცავს პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას დაწესებულების თანამშრომლებსა და იმ პირებს შორის, რომელთა საქმიანობაც უნდა იქნას გამოკვლეული.

გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- ზედამხედველობით (კონტროლით), ინტერვიუებით ან წერილობითი განცხადებების საშუალებით მტკიცებულებების შეგროვება;
- მტკიცებულებათა დოკუმენტირება, მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვისათვის არსებული წესების გათვალისწინებით;
- თაღლითობის მოცულობის განსაზღვრა;
- თაღლითობაში გამოყენებული ტექნიკის განსაზღვრა;
- თაღლითობის გამომწვევი მიზეზების შეფასება;
- დამრღვევი პირების იდენტიფიცირება.

პროცესის ნებისმიერ მომენტში შესაძლოა დადგინდეს, რომ საჩივარი ან ეჭვი უსაფუძვლოა, ამ შემთხვევაში უნდა გადაიდგას საქმის დახურვისათვის აუცილებელი საორგანიზაციო ნაბიჯები.

თითოეული მოკვლევის პროცესში გამოყენებული მიდგომები დამოკიდებული იქნება კონკრეტული სიტუაციებისა და ჯგუფის მიზნებზე. საერთო და ძირითადი პროცედურები მოიცავს:

მტკიცებულებათა მოპოვება: მტკიცებულებათა შეგროვება და მომზადება გადამწყვეტია თაღლითობის ან გადაცდომის დადგენისათვის და საჭიროა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნების მხარდაჭერისთვის. ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს კომპიუტერული პროცედურები ან მონაცემები, რომლებიც ანალიზს ეფუძნება - იმის მიხედვით, თუ როგორია მტკიცებულებათა ბუნება, განხორციელებული პროცედურების შედეგები და მოკვლევის მიზნები. ყველა მოხსენება, დოკუმენტი და მტკიცებულება აღწერილ უნდა იქნას ქრონოლოგიურად, შესაბამის ოქმში ან აღრიცხვის ჟურნალში. მტკიცებულების ზოგიერთი მაგალითია:

- წერილები, შენიშვნები და კორესპონდენცია, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით (როგორიცაა ელექტრონული ფოსტა ან პერსონალურ კომპიუტერებში შენახული ინფორმაცია);
- კომპიუტერული ფაილები, ზოგადი საბუღალტრო გატარებები ან სხვა ელექტრონული ან ფინანსური ჩანაწერები;
- IT ან სისტემური ჩანაწერები;
- უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები;
- შიდა სატელეფონო ჩანაწერები;
- ინფორმაცია კლიენტებსა და მიმწოდებლებზე, როგორც საჯაროდ არსებული, ისე სხვა ფორმით ხელმისაწვდომი, როგორიცაა ხელშეკრულებები, ინვოისები და საგადასახადო ინფორმაცია;
- საჯარო ჩანაწერები, როგორიცაა სახელმწიფო უწყებაში ბიზნესის რეგისტრაციის ან ქონების შესახებ ჩანაწერები;
- საინფორმაციო სტატიები, შიდა და გარე ვებ-გვერდები, როგორიცაა სოციალური ქსელები.

ინტერვიუების ჩატარება: ჯგუფმა უნდა გამოკითხოს მოწმეები და დამხმარე პერსონალი. როგორც წესი, თაღლითობის სავარაუდო ჩამდენი პირი გამოკითხება მას შემდეგ, რაც ყველა შესაბამისი მტკიცებულება იქნება მოპოვებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში არსებობს დანაშაულის აღიარების მაღალი ალბათობა სუბიექტის მხრიდან. ინტერვიუს ძირითადად აწარმოებს ორი ადამიანი: 1) გამოცდილი დარგის სპეციალისტი და 2) პირი, რომელიც გამოკითხვის დროს აკეთებს ჩანაწერებს და შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში ითავსებს მოწმის ფუნქციას. გარდა ამისა, აუცილებელია მიღებული ინფორმაცია გაანალიზდეს ობიექტურად, ისე, რომ არ დაიკარგოს ან შეიცვალოს რესპოდენტის მიერ კონკრეტული ფაქტის სუბიექტური აღქმა და მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის მიზანი.

დაწესებულების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მოკვლევაზე პასუხისმგებელ ჯგუფს აქვს დისკრეცია, პროცესში ჩართოს მენეჯმენტი, იურიდიული სტრუქტურული ერთეული და სხვა სპეციალისტები, როგორებიც არიან ადამიანური რესურსების სპეციალისტები და რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირები.

მოკვლევის ფარგლებში გათვალისწინებულ უნდა იქნას პირთა უფლებები და თავად დაწესებულების რეპუტაცია. მოკვლევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს მოკვლევის პროცესის წარმართვა თანმიმდევრული და გონივრული ფორმით.

თაღლითობაში მესამე პირების ჩართულობის დონე და ხარისხი უნდა შეფასდეს იმ მასშტაბებით, როგორც ეს ორგანიზაციას სჭირდება. შეფასება შესაძლოა იყოს გადამწყვეტი, რომ არ განადგურდეს ან არ შეილახოს ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები და თავიდან იქნას არიდებული პროცესში ჩართული პირების შეცდომაში შეყვანა.

მოკვლევამ უნდა მოახერხოს შეგროვებული მტკიცებულებების დაცვა და მათი შენახვისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება.

■ თაღლითობის მოკვლევის ანგარიში

თაღლითობის სავარაუდო ფაქტის შესახებ ანგარიში შედგება მოკვლევის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ არაერთი ზეპირი, წერილობითი, შუალედური, მაღალ მენეჯმენტთან კომუნიკაციის შემცველი და სხვა დოკუმენტისაგან. ამასთან, მოკვლევის პროცესში შესაძლოა წინასწარი ანგარიშის შედგენა, რაც მოიცავს მიმდინარე შედეგებს.

მოკვლევის ფაზის დასასრულს, უნდა შემუშავდეს საბოლოო წერილობითი ანგარიში, რომელიც ფორმალური კომუნიკაციის საშუალებით მიეწოდება მენეჯმენტს. ანგარიში უნდა მოიცავდეს მოკვლევის დაწყების მიზეზს, ვადებს, დაკვირვებებს, დასკვნებს, კონტროლის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ქმედებებს (ან რეკომენდაციებს). შესაძლოა საჭირო გახდეს ანგარიშის იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომ გათვალისწინებული იყოს კონფიდენციალურობა პროცესებში ჩართულ ზოგიერთ ადამიანთან მიმართებით. ანგარიშის წერის დროს, მნიშვნელოვანია მენეჯმენტის მოთხოვნების გათვალისწინება და ამავდროულად საკანონმდებლო რეგულაციებისა და შეზღუდვების, აგრეთვე დაწესებულების წესებისა და პროცედურების დაცვა.

თაღლითობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოქმედებებია:

- მენეჯმენტის ინფორმირება, როდესაც მნიშვნელოვან თაღლითობას ან ნდობის დაკარგვას აქვს ადგილი;
- თაღლითობის მოკვლევის შედეგებმა უნდა დაასაბუთოს, რომ თაღლითობამ უარყოფითი გავლენა იქონია ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის საოპერაციო შედეგებზე. ამისათვის მნიშვნელოვანია იგი ორიენტირებული იყოს პერიოდზე, რომელზეც ფინანსური ანგარიშგება უკვე განხორციელებულია. ხელმძღვანელობა ინფორმირებული უნდა იყოს ასეთი აღმოჩენის შემთხვევაში, რათა მან შეძლოს სათანადო რეაგირება.

- თუ შიდა აუდიტი ახორციელებს მოკვლევას, კომუნიკაცია უნდა შედგეს IIA სტანდარტი 2400 (Communicating Results)-ის თანახმად.

ზემოაღნიშნული თაღლითობის ანგარიშების გარდა, ორი ტიპის კავშირი, რომელიც მოკვლევის შედეგად შეიძლება შედგეს, არის საჯარო და შიდა კომუნიკაცია.

დაწესებულების ხელმძღვანელი განსაზღვრავს, აცნობოს თუ არა სხვა დაწესებულებას, მათ შორის სამართალდამცავ, მარეგულირებელ ან ზედამხედველ ორგანოებს, თაღლითური ქმედებების შესახებ. გარდა ამისა, დაწესებულებას, კონკრეტული ურთიერთობიდან გამომდინარე, შეიძლება მოეთხოვებოდეს მესამე პირებისთვის, როგორიცაა სადაზღვევო კომპანიები, საბანკო დაწესებულებები და გარე აუდიტორების, თაღლითობის ფაქტის შეტყობინება.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა აუდიტორები არ იღებენ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს, მათ შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ მენეჯმენტს, რომ სამართალდამცავ ორგანოებში საქმის აღძვრა გამოიწვევს სამომავლო თაღლითობის პრევენციას და ამგვარად, ეს იქნება თაღლითობის შემაკავებელი ფაქტორი.

შიდა კონტროლის სისტემაში სათანადო კომუნიკაციის არსებობა წარმოადგენს სტრატეგიულ ინსტრუმენტს, რომელსაც იყენებს დაწესებულების ხელმძღვანელი როგორც მმართველობით ღონისძიებას, რათა განამტკიცოს თავისი პოზიცია და აჩვენოს დასაქმებულებს, რომ ის დგამს სათანადო ნაბიჯებს (მათ შორის დევნის დაწყების ინიცირება), როდესაც დაწესებულებაში ადგილი აქვს რაიმე დარღვევას. აღნიშნული ტიპის კომუნიკაცია, როგორც წესი, ხორციელდება მაშინ, როდესაც საქმე უკვე გამოკვლეულია და მასში არ არის დაკონკრეტებული სამართალდამრღვევთა სახელები ან სხვა დეტალები. მოკვლევას და მის შედეგებს შესაძლოა არაერთი უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს, მაგალითისთვის, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სტრესი და მორალური პრობლემები, რომლებიც აისახება დაწესებულების საქმიანობაზე. შესაბამისად, ამ პროცესში მენეჯმენტის როლი გადამწყვეტია, თითოეული მისი გადაწყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს დაწესებულების მიზნებისა და ინტერესებიდან.

8. საპასუხო მოქმედებები

მოკვლევის დასრულების შემდეგ, მიგნებებიდან გამომდინარე, დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მოქმედებები, რომლებიც უნდა განახორციელოს თაღლითობისა და კორუფციის ფაქტების საპასუხოდ. თაღლითობის პოტენციურ ან ფაქტობრივ გავლენასთან დაკავშირებული თითოეული მიგნების ანგარიშგება უნდა მოხდეს დაწესებულების მენეჯმენტის, შიდა აუდიტის კომიტეტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გარე აუდიტორებისთვის, თუ ისინი არ იყვნენ ჩართულები მოკვლევის პროცესში. ასევე,

შესაძლებელია აუცილებელი იყოს შესაბამისი სამართალდამცავი თუ მარეგულირებელი ორგანოების ინფორმირება.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გარკვეული ზომების მიღება გახდეს აუცილებელი მოკვლევის დასრულებამდე, მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დაცვა, კონფიდენციალურობის შენარჩუნება, ან შესაძლებელია დანაკარგების/ზარალის შემცირება. ეს პროცესი შეიძლება მოიცავდეს გარკვეული ინდივიდების დათხოვნას ან პირიქით, აღდგენას სამსახურში ან რაიმე სხვა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებას. აღნიშნულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა დარწმუნდნენ თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში და იგი დაამყარონ საკმარის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, თითოეული გარემოებისა და დაწესებულების, მათ შორის დასაქმებულებისა და მენეჯმენტის ინტერესების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ მენეჯმენტის გადაწყვეტილება მოიცავს დისციპლინურ, სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივი შინაარსის მოქმედებას, აუცილებელია, მან კონსულტაცია გაიაროს დაწესებულების იურიდიულ სტრუქტურულ ერთეულთან.¹³

მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმაზე, რომ თაღლითობის ინციდენტების გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების მენეჯმენტს და არა შიდა აუდიტორებს ან მოკვლევაზე პასუხისმგებელ ჯგუფს.

თაღლითობის ფაქტის მოკვლევის შემდგომი მოქმედება შეიძლება იყოს:

- იმ პიროვნებებთან დავის დასრულება, რომლებზეც თავდაპირველად არსებობდა ეჭვი, მაგრამ უდანაშაულონი აღმოჩნდნენ;
- იმ პიროვნებებთან ურთიერთობის დასრულება, რომლებმაც საჩივარი წარადგინეს;
- დისციპლინის უზრუნველყოფა, ორგანიზაციის მოთხოვნებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;
- დასაქმებულისაგან, კლიენტისაგან ან მიმწოდებლისაგან ნებაყოფლობითი ფინანსური რესტიტუციის მოთხოვნა;
- მიმწოდებელთან ხელშეკრულებების შეწყვეტა;
- სამართალდამცავი, მარეგულირებელი ან სხვა შესაბამისი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ინციდენტის შესახებ;
- სამოქალაქო სამართალწარმოების ან მსგავსი სამართლებრივი პროცესის დაწყება ზარალის კომპენსაციისათვის;
- სარჩელის წარდგენა;
- სამართალდამრღვევი პირის პროფესიულ ასოციაციაში საჩივრის შეტანა;
- კონტროლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

¹³ Managing the Business Risk of Fraud: A Practical Guide Pg.43

თაღლითობის პრევენციის შესახებ მენეჯმენტის პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრავს, თუ ვინ არის უფლებამოსილი და ვის გააჩნია პასუხისმგებლობა პროცესის თითოეულ ასპექტზე. შიდა აუდიტორები შესაძლოა პროცესში ჩართულნი იყვნენ, როგორც მრჩეველები, თუ მათი როლი და დამოუკიდებლობა სათანადოდ არის აღიარებული შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელობისა და მაღალი მენეჯმენტის მიერ.

9. განხორციელებული სამუშაოს ანალიზი

მას შემდეგ, რაც თაღლითობის მოკვლევა დასრულდება და შესაბამისი რეაგირებაც მოყვება, მნიშვნელოვანია, მენეჯმენტმა და შიდა აუდიტორებმა გადადგან ერთი ნაბიჯი უკან და კარგად გაანალიზონ შემთხვევა, რათა ისწავლონ საკუთარ შეცდომაზე. მათ ამისათვის უნდა დასვან შემდეგი შეკითხვები:

- როგორ მოხდა თაღლითობა?
- რომელი კონტროლის მექანიზმი ჩავარდა?
- რომელი კონტროლის მექანიზმი იქნა უგულვებელყოფილი?
- უფრო ადრე რატომ ვერ მოხდა თაღლითობის აღმოჩენა?
- რა მნიშვნელოვანი წითელი დროშები (red flag) გაეპარა მენეჯმენტს?
- რა მნიშვნელოვანი წითელი დროშები (red flag) გაეპარა შიდა აუდიტს?
- როგორ უნდა გამოვლინდეს მომავალში თაღლითური შემთხვევები ან უკეთეს შემთხვევაში, მოხდეს მათი პრევენცია?
- რომელი კონტროლის მექანიზმები უნდა გაძლიერდეს?
- აუდიტის რომელი გეგმა ან რა ნაბიჯები უნდა იქნას გაძლიერებული?
- რა დამატებითი ტრენინგია საჭირო?

ამ შეკითხვებმა ხაზი უნდა გაუსვას თაღლითობის სქემასა და ზოგადად, თაღლითობის შესახებ ინფორმაციის განახლების და მოპოვების მნიშვნელობას, რაც დაეხმარება, როგორც დაწესებულების მენეჯმენტს, ასევე, შიდა აუდიტორებს თაღლითობის საწინააღმდეგო საზოგადოების მშენებლობაში და დანაკარგების აცილებაში.

10. დასკვნა

თაღლითობის რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად შიდა აუდიტორებისა და მენეჯერებისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი არ კარგვას აქტუალურობას. პირიქით, დროთა განმავლობაში იზრდება მისი კომპლექსურობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შიდა აუდიტორებს გააჩნდეთ სათანადო უნარები და რესურსი, რადგან შიდა აუდიტი თაღლითობასთან ბრძოლის თვალსაზრისით, წარმოადგენს მენეჯმენტის ძირითად დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდეს ამ პროცესში.